

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო
გზის კმ 34,3 - კმ 49 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

შინაარსი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია.....	4
3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება.....	10
ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ	14
დანართი N2.....	21
დანართი N3.....	22
დანართი N4.....	23

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
- 1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია აუცილებლობას წარმოადგენს წარმოდგენილი იქნეს პირის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციაც დამოწმებული, ამისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საელჩო, საკონსულო და/ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო).
- 1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).
- 1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- 1.5 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტები:

N	წარმოსადგენი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტების ჩამონათვალი	
1	პრეტენდენტის შეთავაზება (რეკვიზიტები)	დანართი N2
2	ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)	დანართი N4
3	ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების შესახებ	ცხრილი N1
4	ინფორმაცია 01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ:	ცხრილი N3
5	ინფორმაცია მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების შესახებ	ცხრილი N4
6	ინფორმაცია 01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში სამშენებლო სამუშაოების საშუალო ბრუნვის შესახებ	ცხრილი N5
7	ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ (არსებობის შემთხვევაში)	ცხრილი N6

2.2 შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

2.2.1 იურიდიული პირებისთვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

გ) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტმა ან მისმა ფილიალმა დამატებით უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული ცნობა (ცნობები) რომ არ ხორციელდება არარეზიდენტი იურიდიული პირის (სათაო) რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, რომელიც (რომლებიც) დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

2.2.2 ფიზიკური პირებისთვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის არ არსებობის შესახებ.

2.3 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა, საგადასახადო გირავნობა ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, იგი ვალდებულია წარმოადგინოს (ყადაღის, საგადასახადო გირავნობის, ან/და პრეტენდენტის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის) ამსახველი სრული დოკუმენტაცია.

2.4 წარმოდგენილი სრული დოკუმენტაციის ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის თაობაზე, თუ მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოებებმა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების პირობების სათანადო შესრულებას.

2.5 წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.5.1 **ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.**

▪ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა.შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების **3.10 პუნქტით** განსაზღვრული მანქანა-მექანიზმები. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ცხრილი N1-ის** შესაბამისად.

▪ საკუთრებაში არსებული მანქანა-მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს **ცხრილი N1-ში** და წარმოდგენილი უნდა იყოს სარეგისტრაციო მოწმობების ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების (აუდიტის დასკვნა, ან/და მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და

დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურა და სხვა) ასლები, ხოლო ინფორმაცია სხვა დანარჩენი ფორმით მანქანა-მექანიზმების ფლობის შესახებ მითითებული უნდა იყოს მხოლოდ **ცხრილი N1-ში**.

- უშუალოდ პრეტენდენტ პირს (ქვეკონტრაქტორის გარეშე) საკუთრებაში უნდა გააჩნდეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების **3.10 პუნქტით** განსაზღვრული მანქანა-მექანიზმების მთლიანი რაოდენობის **არანაკლებ 50%-ისა**.

ცხრილი N1 - ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ				
N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა		მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
		მოდელი	გამოშვების წელი	(საკუთარი / იჯარა)
1				
2				
3				
...				
n				

2.5.2 ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, 01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ქვეკონტრაქტორთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში** შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები, საერთო ღირებულებით - **19 504 755.00 ლარის ოდენობით**. კერძოდ:
 - ✓ საავტომობილო გზების მშენებლობა;
 - ✓ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია;
 - ✓ საავტომობილო გზების მოდერნიზაცია;
 - ✓ საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს **01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში** ქვეკონტრაქტორის გარეშე, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით **არანაკლებ - 6'501'585.00 ლარის ოდენობით**.
- უშუალოდ პრეტენდენტი პირს (ქვეკონტრაქტორის გარეშე) მთლიანი გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის სირთულის და შინაარსის სამუშაოების საერთო გამოცდილების **არანაკლებ 60%-ს**.
- **ცხრილი N3-ში** შეტანილი თითოეული პოზიციის მიხედვით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლები და ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები ან/და სამუშაოების დასრულების/შესრულების სერტიფიკატები).
შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ დანართი N3-ის სახით.

ცხრილი N3 - ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, 01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ						
N	სამუშაოების დასახელება (თითოეული ხელშეკრულების დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	შემსყიდველის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა)	ხელშეკრულების მოქმედების ვადები	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1						
2						
3						
...						
n						
ჯამი						

- შემსყიდველი უფლებამოსილია, ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების დადგენის მიზნით, პრეტენდენტს დამატებით მოსთხოვოს **ცხრილი N3-ში** შეტანილი თითოეული

პოზიციის მიხედვით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დოკუმენტის - ფორმა N2-ის წარმოდგენა.

შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ დანართი N3-ის სახით.

2.5.3 ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვის შესახებ.

- ინფორმაცია მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების ღირებულების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას ცხრილი N4-ის შესაბამისად.
- ცხრილი N4-ში** შეტანილი თითოეული პოზიციის მიხედვით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლები და ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები ან/და სამუშაოების დასრულების/შესრულების სერტიფიკატები).

შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ დანართი N4-ის სახით.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების ღირებულებისა და წინამდებარე ტენდერით წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასის ჯამის 75% არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის 01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიურ ბრუნვას.

ცხრილი N4 - ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების შესახებ						
N	სამუშაოების დასახელება (თითოეული ხელშეკრულების დასახელებით)	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული მიმდინარე პერიოდისათვის	დარჩენილი სამუშაოების ღირებულება	ხელშეკრულების დასრულების თარიღი	ინფორმაცია დამკვეთის შესახებ (დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია)
1						
2						
3						
...						
n						
ჯამი						

- ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის 01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას ცხრილი N5-ის შესაბამისად.

ცხრილი N5 - შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა								
N	სამუშაოთა (ხელშეკრულების) დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	სულ შესრულებულია 2012-2014 წლებში	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება აღნიშნულ პერიოდში				შემსყიდველის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა)
				01.01.2012-დან 01.01.2013-მდე	01.01.2013-დან 01.01.2014-მდე	01.01.2014-დან 01.01.2015-მდე	01.01.2015-დან 01.10.2015-მდე	
1								
2								
3								
...								
n								
ჯამი								
საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა:								

- ცხრილი N5-ში შეტანილი თითოეული პოზიციის მიხედვით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლები და ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები ან/და სამუშაოების დასრულების/შესრულების სერტიფიკატები).
- პრეტენდენტის „სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა“ გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენების საშუალებით:

$$S_{\text{საშ}} = \frac{S_1 + S_2 + S_3 + S_4}{N} \times 12$$

სადაც:

S₁ – ტენდერში მონაწილე კონკრეტული ფირმის 01.01.2012-დან 01.01.2013-მდე პერიოდში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ჯამი

S₂ – ტენდერში მონაწილე კონკრეტული ფირმის 01.01.2013-დან 01.01.2014-მდე პერიოდში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ჯამი

S₃ – ტენდერში მონაწილე კონკრეტული ფირმის 01.01.2014-დან 01.01.2015-მდე პერიოდში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ჯამი

S₄ – ტენდერში მონაწილე კონკრეტული ფირმის 01.01.2015-დან 01.10.2015-მდე პერიოდში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ჯამი

N – თვეების რაოდენობა ტენდერში მონაწილე კონკრეტული ფირმის რეგისტრაციის თვიდან - 01.10.2015-მდე პერიოდში. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი დაარსებულია 01.01.2012-მდე პერიოდში, მაშინ თვეების ათვლა დაიწყება 01.01.2012-დან.

2.5.4 ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ (არსებობის შემთხვევაში), ცხრილი N6-ის შესაბამისად

- ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორზე წარმოდგენილი უნდა იქნას ქვეკონტრაქტორის დასახელება და მისამართი, შესასრულებელი სამუშაოების დასახელება შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება და ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება; ობიექტები, რომელზეც ქვეკონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიექტებზე ხელშეკრულებების ასლები და სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები - სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა.

შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

- ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.
- ქვეკონტრაქტორების მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%-ს.
- ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“.

ცხრილი N6 - ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ				
N	ქვეკონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება	ქვეკონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1				
2				
3				
...				

n			
---	--	--	--

- 2.6 იმ შემთხვევაში თუ შესყიდვაში მონაწილეობს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანია ან მისი ფილიალი, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, ბოლო სამი წლის ბრუნვა, მანქანა მექანიზმებს ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში ფილიალი ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემები. კერძოდ:
- 2.6.1 სათაო კომპანიის ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების გამოყენების შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მ/ჩ აქტები, დადასტურებული ა/ფაქტურები, სამუშაოების დასრულების სერთიფიკატები ან სხვა ანალოგიური დოკუმენტაცია).
- 2.6.2 სათაო კომპანიის საკუთრებაში არსებული მანქანა-მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა ანალოგიური დოკუმენტები).
- 2.6.3 სათაო კომპანიის **01.01.2012-დან 01.10.2015-მდე პერიოდში** საშუალო სამშენებლო ბრუნვის გამოყენების შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია როგორც ფილიალის, ასევე სათაო კომპანიის შესაბამისი სამუშაოების შესახებ, **ცხრილი N5-ის** შესაბამისად უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია როგორც ფილიალის, ასევე სათაო კომპანიის მიმდინარე ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი ვალდებულებების შესახებ, **ცხრილი N4-ის** შესაბამისად. ამასთან, სათაო კომპანიის მიმდინარე ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი ვალდებულებების ოდენობა დადასტურებული უნდა იყოს სათაო კომპანიის მიერ გაცემული ცნობით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სათაო კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ (წარმოდგენილი უნდა იყოს ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).
- 2.6.4 სათაო კომპანიიდან, მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, ისინი სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის შესაბამის ქვეყანაში, რომლითაც დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა.
- 2.6.5 უცხოურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას ასევე უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- 2.7 ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტი სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ვადის შესაბამისად, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.
- 2.8 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, შემყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სამუშაოების შესულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე ტენდერის ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ სამუშაოების დასრულების ვადებს. აღნიშნული კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარმოდგენლობა, სატენდერო კომისიის მიერ განხილული იქნება, როგორც ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის (ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე.
- 2.9 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადების სისტემაში ატვირთვის დაწყების თარიღს. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ

3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი:	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ 34,3 - კმ 49 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები
სავარაუდო ღირებულება:	13 003 170.00 ლარი (ცამეტი მილიონ სამი ათას ასსამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) დღგ-ს გათვალისწინებით.
CPV კოდი:	452 33142 - გზის შეკეთების სამუშაოები
დაფინანსების წყარო:	2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - 1 000 000.00 ლარი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - 12 003 170.00 ლარი

3.1 სამუშაოთა შესრულების ვადები

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ 34,3 - კმ 49 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან - 10 კალენდარული თვე.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

3.2 სამუშაოთა შემადგენლობა

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-9) თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზისკმ34,3 - კმ49 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებელ სამუშაოთა დეტალური მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და სპეციფიკაციებში.

ჩასატარებელი ძირითადი სამუშაოთა სახეობები:

- მოსამზადებელი სამუშაოები
- მიწის სამუშაოები
- მიწების მოწყობა და შეკეთება
- ხიდების შეკეთება
- საგზაო სამოსის მოწყობა
- მიერთებების მოწყობა
- ეზოში შესასვლელების მოწყობა
- ავტობუსის გაჩერების მოწყობა
- საგზაო ნიშნები, მონიშვნა და შემოფარგვლა

3.3 სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

3.3.1 შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

3.3.2 შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემეგი პირობები:

- o უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა.
- o მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.
- o სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.
- o სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.
- o სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება.

3.4 სამუშაოთა შესრულების წესი

- 3.4.1 სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების პირობებით.
- 3.4.2 შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში, ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა) ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა) ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.
- 3.4.3 მიმწოდებელი ვალდებულია ისარგებლოს მარტო იმ ასფალტბეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები არ იქნება მიღებული.
- 3.4.4 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება იმ სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არსებობს ხარისხის სერთიფიკატი ან პასპორტი.
- 3.4.5 მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.
- 3.4.6 მიმწოდებლების მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერთიფიკატი. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

3.5 გეოდეზიური ზედამხედველობა

- 3.5.1 საჭიროების მიხედვით შემსრულებელი თავისი ძალებითა და სახსრებით ჩამოაყალიბებს მშენებარე ობიექტზე გეოდეზიურ ზედამხედველობას.
- 3.5.2 რთული გეოდეზიური გაზომვების შემთხვევაში, შემსყიდველის მითითებით, ეს სამუშაო გადაეცემა მის მიერ მოწონებულ სპეციალიზირებულ ფირმას ან პიროვნებას. შერჩეულ ფირმასთან ან პიროვნებასთან ხელშეკრულების პირობები შესათანხმებელია შემსყიდველთან.

3.6 ნორმატიული დოკუმენტები

- 3.6.1 მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ასევე შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით:
 - o СНИП 2.05.02-85 „საავტომობილო გზები“
 - o СНИП 3.06.03-85 „საავტომობილო გზები“
- 3.6.2 მუშაობის პროცესში შემსრულებელი ასევე ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციისა, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების მოთხოვნების შესაბამისად.
- 3.6.3 ამ პუნქტში აღნიშნული ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს სატენდერო პირობებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3.7 სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

- 3.7.1 სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.
- 3.7.2 ამ ჟურნალში ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემატიურად, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.
- 3.7.3 ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.
- 3.7.4 მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის მოვლა-შენახვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.8 სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

- 3.8.1 სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი განისაზღვრება ამ პუნქტით, სფეციფიკაციებითა და ხელშეკრულების პირობებით.

- 3.8.2 საწარმოო ჟურნალში აღნიშნული და ადგილზე შემოწმებული მოცულობების ჩამონათვალის საფუძველზე ტექნიკური დამხმარებელი და მიმწოდებელი დაადგენენ საჭირო ხარისხით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, რომელიც უნდა იქნას შეტანილი საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა საგადასახადო ფორმებში.
- 3.8.3 დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის N1-1/23 ბრძანებით დამტკიცებული „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.
- 3.8.4 სამუშაოთა მიღება განხორციელდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.
- 3.8.5 ზედამხედველობის დირექციამ ყოველ თვეს შესრულებული სამუშაოების მიღებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებით და არ მიიღოს სამუშაოები, თუ მიმწოდებლის მიერ გამოყენებულ მასალებზე არ იქნება შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.
- 3.8.6 ყოველი თვის ბოლოს მიმწოდებელი აბარებს სამუშაოებს ზედამხედველობის დირექციას, რომელიც თავის მხრივ მას წარუდგენს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება ყოველთვიურად, შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ: სამუშაოთა მოცულობებისა და ღირებულების აქტი (უწყისი) და ანგარიშ-ფაქტურა.
- 3.8.7 ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების შემოწმება განხორციელდება სამუშაოების შესრულების ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასალების გამოცდა მოხდება ამ მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალური ლაბორატორიების ადგილმდებარეობის მიხედვით.

3.9 სამუშაოთა საბოლოო მიღება

- 3.9.1 არაუგვიანეს 7 სამუშაო დღით ადრე მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ.
- 3.9.2 ტექნიკური დამხმარებელი ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას დასრულების თაობაზე და დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.
- 3.9.3 თუ ტექნიკური დამხმარებელი სამუშაოები შეაფასა წუნით, სამუშაოთა დასრულების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შემსყიდველს დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.
- 3.9.4 შეტყობინების მიღებისას, შემსყიდველის ბრძანების საფუძველზე, დასრულებული სამუშაოთა მიმღები კომისიის ჩამოყალიბებისას, უზრუნველყოფს ობიექტზე დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის მუშაობას სახელმძღვანელო სამუშაოების დამთავრების დადგენის თაობაზე და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებისათვის.
- 3.9.5 იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში აღმოჩნდება რაიმე ნაკლი ხარისხობრივი თვალსაზრისით, მიმწოდებელს 2.5% არ აუნაზღაურდება.

3.10 ძირითადი საშენებლო მანქანა-მექანიზმების და სატრანსპორტო საშუალებების საჭირო რაოდენობა.

N	დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ექსკავატორი	1
2	ამწე	1
3	ავტოგრეიდერი	1
4	ბულდოზერი	1
5	რეციკლირების მანქანა	1
6	ასფალტის ქარხანა	1
7	ასფალტის დამგები	2
8	სატკეპნი გლუვვალციანი	2
9	სატკეპნი პნევმატური კომბინირებული ან ვიბრაციული	3
10	ავტობეტონსარევი	3
სულ		16

3.11 გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და ფასები:

- 3.11.1 პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვაში უნდა გაითვალისწინოს გაუთვალისწინებელი ხარჯები არა ნაკლებ 5%-ის ოდენობით.

- 3.11.2 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გასაწვევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი N4-ის მიხედვით.
- 3.11.3 გათვალისწინებული თანხების გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის (შემსყიდველის) ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე დამკვეთის (შემსყიდველის) სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.
- 3.11.4 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ელექტრონული ტენდერი SPA _____
(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საკვეთწყობა დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის - მათა ქალიაშვილის სახით,

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზგების გამზ. N12,

საიდენტიფიკაციო კოდი: 211343982

სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222

ანგარიშის N200122900;

(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

წარმოდგენილი ----- სახით

მის: -----

საიდენტიფიკაციო კოდი: -----

საბანკო რეკვიზიტები: -----

ბანკის კოდი: -----

IBAN: -----

(შემდგომში „მიმწოდებელი“)

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვლდო წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, ----- სამუშაოების განხორციელება – შემდგომში სამუშაო.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 სამუშაოს მთლიანი ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს ----- (-----) ლარი.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ----- (-----) ლარს.

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტი), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.5 ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში.

2.6 მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.7 დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.8 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი დასაბუთებისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.9 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.10 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20 პროცენტის ოდენობით. მრავალწლიანი ტენდერის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტიდან არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.

2.11 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

Z არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y არის (X) წინა პერიოდისათვის.

2.12 შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.11 პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტიდან მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.13 ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან ორი კვირის ვადაში.

2.14 მიმწოდებლის მიერ სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.15 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და საამისოდ შერჩეული პირის (საზედამხედველო კომპანია) მიერ დადასტურებული აქტი.

2.16 გათვალისწინებული სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.17 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.18 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს ორ წელს სამუშაოს დასრულებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

2.19 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი საგარანტიო ვადის (ორი წელი) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

2.20 იმ შემთხვევაში თუ, სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს ზემოხსენებული კომისიის მიერ აქტში დაფიქსირებული დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, შემსყიდველი ობიექტზე ზედამხედველობის განმხორციელებელ ორგანიზაციასთან ერთად შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს აღნიშნულ თანხას – ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების დაკავებული 5%-დან.

მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2. ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის არაუგვიანეს 30 რიცხვისა.

4.3. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ყოველთვიურად მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

4.4. ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ შერჩეული პირი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

4.5. დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის №1-1/23 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს მხარეთა შორის შეთანხმებული სამუშაოთა წარმოების გრაფიკის შესაბამისად;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი პროგრამა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია შემსყიდველის თანხმობით;

დ) უზრუნველყოს ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადმოცემა შემსყიდველის საინფორმაციო სამსახურში;

ე) მიმწოდებელი ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შესრულებულ სამუშაოს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული ფორმების თანახმად განსაზღვრულ ვადებში;

ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონის “სავტომობილო გზების შესახებ”, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;

